1971/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 4 (363)

1971 წლის აპრილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 4 (363) აპრილი 1971 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

44. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ქალაქ ქუთაისში, ახალქალაქისა და თელავის რაიონებში.

45 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. გ. ახვლედიანის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

46. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ხუციშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

47. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზია“-ს მუშაკთათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

48. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. კეჩხუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

49. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. მ. ნატროშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

50. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის მთავარი სამმართველოს — “მთავართბილმშენის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

51. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა დაჯილდოების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქალაქ თბილისში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის მშენებლობაზე.

1672

52. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ნ. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

53. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ფ. ბართაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

54. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ს. რეხვიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

55. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. კავსაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

56. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ა. სტეფანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

57. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. ჟურავსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

58. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. თ. თოდუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

59. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ზ. აბზიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

60. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ა. თათრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

61. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ლ. ხეჩინაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

62. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ შ. ს. ასლანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

63. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. გ. კაზაჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

64. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. გ. ჩიქოვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

განჭოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივ კომისიაში:
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

44 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ქალაქ ქუთაისში, ახალქალაქისა და თელავის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ქ. ქუთაისში, ახალქალაქისა და თელავის რაიონებში მნიშვნელოვანი ღონისძიებანია განხორციელებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებისათვის. აღმასრულებელი კომიტეტები დროულად შეუდგნენ არჩევნებისათვის მზადებას. ახალქალაქისა და თელავის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მოაწყვეს საინსტრუქტაჟო თათბირი სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნებისათვის, ხოლო ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა — საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისათვის. აღმასრულებელმა კომიტეტებმა განიხილეს არჩევნებისათვის მზადების საკითხი და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი.

არჩევნების დებულებით გათვალისწინებულ ვადებში ქ. ქუთაისში შეიქმნა საქალაქო საბჭოს არჩევნების 300 საარჩევნო ოლქი და 65 საარჩევნო უბანი; ახალქალაქის რაიონში: რაიონული საბჭოს არჩევნებისა — 100, საქალაქო საბჭოს არჩევნებისა — 60 და სასოფლო საბჭოების არჩევნებისა 708 საარჩევნო ოლქი; თელავის რაიონში: რაიონული საბჭოს არჩევნებისა — 91, საქალაქო საბჭოს არჩევნებისა — 80 და სასოფლო საბჭოების არჩევნების 645 საარჩევნო ოლქი.

ქალაქ ქუთაისში და ახალქალაქის რაიონში აღმასრულებელმა კომიტეტებმა მიმდინარე წლის 20 აპრილამდე დაამტკიცეს და ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებულ იქნა საოლქო, საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიების შემადგენლობა. საარჩევნო ოლქები. უბნები და კომისიები ძირითადად მოთავსებულია შესაფერის შენობებში და უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირით, განათებით და სხვა მოწყობილობით (ქ. ქუთაისი, თელავის რაიონის იყალთოს, აკურის, წინანდლის, ზემო ხოდაშნის, კურდღელაურის და სხვა სასოფლო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები).

საარჩევნო კომისიებს შედგენილი აქვთ სამუშაო გეგმები, წევრებს შორის განაწილებულია ფუნქციები და დაწესებულია მორიგეობა. მომხსენებლების, აგიტატორების და პოლიტინფორმატორების საშუალებით მოსახლეობას ფართოდ აცნობენ სკკპ XXIV ყრილობის მასალებსა და არჩევნების დებულებებს.

ქ. ქუთაისში შექმნილია ამომრჩეველთა 53 კლუბი, ახალქალაქის რაიონში — 65 და თელავის რაიონში — 72. დამტკიცებულია მოსახლეობაში ლექციამოხსენებებისა და საუბრების ჩატარების გეგმა. აგიტატორებისა და აქტივის საშუალებით მიმდინარეობს ამომრჩეველთა სიების შედგენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან, ქუთაისის საქალაქო, ახალქალაქისა და თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საქმეში გააჩნიათ ზოგიერთი ნაკლოვანება. თელავის რაიონში სასოფლო საბჭოების არჩევნების და რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა დამტკიცებულ იქნა მხოლოდ 27 აპრილს. თელავისა და ახალქალაქის რაიონებში ზოგიერთი საარჩევნო ოლქი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოწყობილი და გაფორმებული. ახალქალაქის რაიონის აზავრეთისა და ვაჩიანის სასოფლო საბჭოებს არ განუხილავთ არჩევნებისათვის მზადების საკითხი.

ახალქალაქისა და თელავის ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჯერ კიდევ არ არის გაშლილი მოსამზადებელი მუშაობა არჩევნებთან დაკავშირებით. სამკითხველოებსა და ბიბლიოთეკებში მოწყობილი არაა კუთხეები ამომრჩეველთა დასახმარებლად; ადგილობრივი ინტელიგენცია — მასწავლებლები, ექიმები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ნაკლებ მონაწილეობას იღებენ მოსახლეობას შორის სააგიტაციო მუშაობაში. არ არის შემუშავებული სპეციალური გეგმა ახალგაზრდა ამომრჩევლებთან მუშაობის ჩასატარებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო, ახალქალაქის და თელავის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გააძლიერონ მუშაობა არჩევნებისათვის მზადების საქმეში, ამ მიზნით:

ა) სათანადოდ მოაწყონ და გააფორმონ შენობები სადაც მოთავსებულია საარჩევნო კომისიები და შეუქმნან მათ მუშაობის ნორმალური პირობები; უზრუნველყონ განათებით, სატელეფონო კავშირით და საჭირო ინვენტარით;

ბ) ქმედითი დახმარება გაუწიონ საარჩევნო კომისიების წევრებს. უახლოეს დროში ჩაუტარონ სათანადო ინსტრუქტაჟი მათი მუშაობის პრაქტიკულ საკითხებსა და უფლება-მოვალეობის შესახებ;

გ) დებულებით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყონ საარჩევნო უბნების შექმნა და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა წამოყენება და დამტკიცება;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა სიების ზუსტად შედგენას; მიაღწიონ იმას, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ყველა მოქალაქემ, ვისაც ხმის მიცემის უფლება აქვს. სათანადო მუშაობა გაშალონ ახალგაზრდა ამომრჩეველთა შორის;

ვ) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და პრესის საშუალებით გააჩაღონ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა არჩევნების დებულების, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საბჭოთა დემოკრატიზმის ძირითადი პრინციპების საკითხებზე. ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში მოაწყონ კუთხე-სტენდები ამომრჩეველთა დასახმარებლად, ფართოდ გააცნონ მათ დეპუტატობის კანდიდატთა საქმიანობა, უფრო მეტად მიიზიდონ ამომრჩევლებს შორის სააგიტაციო მუშაობაში ადგილობრივი ინტელიგენცია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) დროულად განიხილონ არჩევნებთან დაკავშირებით მიღებული მშრომელთა განცხადებები და მისცენ მათ ამომწურავი პასუხი.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს შეამოწმონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 28 აპრილი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

45 ამხ. ზ. გ. ახვლედიანის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ზურაბ გიორგის ძე **ახვლედიანი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 30 აპრილი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

46 ამხ. გ. ი. ხუციშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. გიორგი იოსების ძე **ხუციშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 30 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

47 გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზია"-ს მუშაკთათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზია"-ს პირველი ნომრის გამოსვლიდან ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის** საპატიო წოდება:

1. რაფიელ სერგის ძე **აკოფოვს** — რედაქციის განყოფილების გამგეს.
2. გიორგი ვასილის ძე **გოლუბევს** — რედაქტორის მოადგილეს.
3. ნიკოლოზ მიხეილის ძე **იშჩენკოს** — განყოფილების გამგეს.
4. სიმონ იოსების ძე **კოროტკოვს** — ფოტოკორესპონდენტს.
5. სტეფან ვასილის ძე **მალიშევს** — პენსიონერს.
6. მიტროფანე ივანეს ძე **სტარცევს** — რედაქტორის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 23 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

48 ამხ. გ. ი. კეჩხუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პატრიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრის მოადგილე ამხ. გაბრიელ ისაკის ძე **კეჩხუაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 9 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

49 ამხ. ე. მ. ნატროშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, რესპუბლიკაში პირველი ტრაქტორისტი ქალი, საქართველოს სსრ დამსახურებული მექანიზატორი, სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის წევრი ელენე მოსეს ასული ნატროშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 9 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

50 საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის მთავარი სამმართველოს — „მთავართბილმშენის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქალაქ თბილისში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით **საქართველოს** სსრ მშენებლობის სამინისტროს საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის მთავარი სამმართველო — **„მთავართბილმშენი“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 12 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

51 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა დაჯილდოების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქალაქ თბილისში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის მშენებლობაში

რესპუბლიკის ქარხნების, სამშენებლო, სამონტაჟო და საპროექტო ორგანიზაციების მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქალაქ თბილისში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის მშენებლობაში, დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ალექსანდრე ნიკიფორეს ძე **ალექსეევი** — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს „თეატრმონტაჟის“ საკავშირო კანტორის სამუშაოთა მწარმოებელი.

2. ეფიმ ბორისის ძე **გალკინი** — სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის საპროექტო ინსტიტუტის „გიპროკინოს“ ლენინგრადის ფილიალის ტექნოლოგიური განყოფილების უფროსი.

3. ჯაფარ აბდულ ოღლი **გამიდოვი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავართბილმშენის № 4 სამშენებლო სამმართველოს დურგალთა ბრიგადირი.

4. შალვა ვლადიმერის ძე **გაზაშვილი** — ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის“ პროექტის მთავარი კონსტრუქტორი.

5. ოთარ გიორგის ძე **გოგაშვილი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს ტრესტ „საქსანტექმონტაჟის“ სამონტაჟო სამმართველო „პრომვენტილაციის“ ზეინკალი.

6. ივანე ნიკოლოზის ძე **დუბროვსკი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავართბილმშენის № 4 სამშენებლო სამმართველოს მებათქაშე.

7. ივანე სერგის ძე **დანდუროვი** — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის № 7 საამქროს უფროსი.

8. სოლომონ სიმონის ძე **კერესელიძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავართბილმშენის № 10 სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

9. ალექსანდრე სერგის ძე **კორნიევსკი** —სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის საპროექტო ინსტიტუტის „გიპროკინოს“ ლენინგრადის ფილიალის მთავარი სპეციალისტი.

10. გრიგოლ არონის ძე **კოჩეროვიჩი** — სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის საპროექტო ინსტიტუტის „გიპროკინოს“ ლენინგრადის ფილიალის ჯგუფის ხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. თებრო გლახოს ასული **მჭედლიძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავართბილმშენის № 4 სამშენებლო სამმართველოს მუშა.

12. გიორგი სიმონის ძე **მუზაშვილი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს ტრესტ „საქსანტექმონტაჟის" თბილისის სამონტაჟო სამმართველოს ელექტროშემდუღებელი.

13. ამირან გიორგის ძე **ნიკოლაიშვილი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავართბილმშენის № 4 სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

14. გიორგი ისრაილის ძე **ნაზაროვი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავართბილმშენის № 4 სამშენებლო სამმართველოს მღებავი.

15. გულიევერ იასონის ძე **ნიორაძე** — ტრესტ „იუჟსტალკონსტრუქციის" რუსთავის სამონტაჟო სამმართველოს „ფოლადკონსტრუქციის" მემონტაჟე.

16. ოლეგ პორფილეს ძე **პოდლინსკი** — სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის საპროექტო ინსტიტუტის „გიპროკინოს" ლენინგრადის ფილიალის დირექტორი.

17. ისაკ მიხეილის ძე **როზენბერგი** — სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის საპროექტო ინსტიტუტის „გიპროკინოს" ლენინგრადის ფილიალის ჯგუფის ხელმძღვანელი.

18. ომარ მიხეილის ძე **სულაძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავართბილმშენის № 4 სამშენებლო სამმართველოს მემონტაჟე.

19. გრიგოლ დიმიტრის ძე **ტერეშჩენკო** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავართბილმშენის № 4 სამშენებლო სამმართველოს ქვისმთლელთა ბრიგადირი.

20. ფირან დავითის ძე **თეთრაული** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს სამონტაჟო სამმართველო „მონტაჟთერმნაწარმის" მომხოლოებელი.

21. ვსევოლოდ პავლეს ძე **ტიხონოვი** — სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის საპროექტო ინსტიტუტის „გიპროკინოს" ლენინგრადის ფილიალის ჯგუფის ხელმძღვანელი.

22. ივანე ნიკოლოზის ძე **ტუსკაძე** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მშენებარე საკონცერტო დარბაზის დირექტორი.

23. ჯემალ ილიას ძე **ქვარცხავა** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქმშენინდუსტრიის" მოსაპირკეთებელი მასალების კომბინატის მღარავი.

24. მიხეილ მიხეილის ძე **ქობალიანი** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის კინო-რადიო-ტელევიზიის, სინქრონული თარგმნისა და რეჟისორული კავშირის სამსახურის უფროსი.

25. ასლან მიხეილის ძე **ქურდიანი** — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქმარმარილოს" ქუთაისის ქვისდამმუშავებელი ქარხნის გრანიტის მხერხავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. გიორგი იაკობის ძე **ხვედაგურიძე** — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქმარმარილოს“ თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატის მარმარილოს მხერხავ-გამპრიალებელი.

27. აკაკი გიგას ძე **ხომასურიძე** — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მღარავი.

28. ბიჭიკო მიხეილის ძე **ხუციშვილი** — ქარხანა „კასპიელექტროაპარატის“ მემონტაჟეთა ბრიგადირი.

29. ივანე ვასილის ძე **ფილიევი** — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ზეინკალი-ამწყობი.

30. გივი სერაფიონის ძე **შენგელია** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავართბილმშენის უფროსი.

31. ვილსონ ველიამინის ძე **იაკუბოვი** — საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის“ პროექტის მთავარი ინჟინერი.

32. აპოლონ პორფილეს ძე **იამანიძე** — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქმარმარილოს“ საწარმოს „საქტეშენიტის“ გრანიტის გამპრიალებელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 12 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

52 ამხ. ნ. ნ. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნიკოლოზ ნესტორის ძე **აბაშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 20 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

53 ამხ. ე. ფ. ბართაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ჟურნალ „საქართველოს ბუნების" რედაქტორი ამხ. ევგენი ფილიპეს ძე **ბართაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 20 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

54 ამხ. კ. ს. რეხვიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. კონსტანტინე სერგოს ძე **რეხვიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 20 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

55 ამხ. ი. ი. კავსაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სოფლის მეურნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. ირაკლი იოსების ძე **კავსაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 21 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

56 ამხ. ს. ა. სტეფანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბუღალტრო აღრიცხვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი ბუღალტერი ამხ. სტეფანე არტემის ძე **სტეფანოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 21 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

57 ამხ. გ. ა. ჟურავსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამშენებლო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტის მმართველის მოადგილე ამხ. გრიგოლ ავქსენტის ძე **ჟურავსკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 23 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

58 ამხ. ი. თ. თოდუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ ორგანოებში და საზოგადოება „ცოდნაში“ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ივლიანე თეიმურაზის ძე **თოდუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 23 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

59 ამხ. ა. ზ. აბზიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საგეგმო-საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსი ამხ. აივენგო ზოსიმეს ძე **აბზიანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 23 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

60 ამხ. ს. ა. თათრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჩარხმშენებლობის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, პრეციზიულ-სახეხი ჩარხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი ამხ. სერგო ალექსის ძე თათრიშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 23 აპრილი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

61 ამხ. შ. ლ. ხეჩინაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, „თბილქალაქპროექტის“ მთავარი სპეციალისტი ამხ. შალვა ლევანის ძე **ხეჩინაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 23 აპრილი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

62 პროფესორ შ. ს. ასლანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი შალვა სოლომონის ძე **ასლანიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 30 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

63 ამხ. დ. ბ. კაზაჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი ამხ. დიმიტრი გიორგის ძე **კაზაჩენკო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 30 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

64 ამხ. მ. ბ. ჩიქოვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1672

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მიხეილ გერასიმეს ძე **ჩიქოვანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 30 აპრილი.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1971 წლის 28 აპრილს თავის სხდომაზე მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. შ. დ. კიკნაძის ინფორმაცია საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე დეპუტატების მიერ შეტანილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ და დაავალა საქართვე-

ლოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს პერიოდულად შეამოწმონ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების სესიებზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების შესწავლისა და გადაწყვეტის მდგომარეობა და დასახონ სათანადო ღონისძიებანი ამ საქმეში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის მდივნის დეპუტატ გ. სამხარაძის მოხსენება „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მდგომარეობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის 1968 წლის 9 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა ამ დადგენილების შესასრულებლად გასწიეს გარკვეული მუშაობა.

განხორციელდა ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებანი, დაინერგა ახალი ტექნიკა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, მოდერნიზაცია გაუკეთდა ფიზიკურად და მორალურად მოძველებულ მანქანა-დანადგარებს, საწარმოებში შეტანილია ახალი, თანამედროვე, მაღალი წარმადობის მქონე მოწყობილობა.

სათანადო ღონისძიებები ტარდება პროდუქციის უდეფექტოდ დამზადებისათვის, მუშა-მოსამსახურეთა საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების კულტურის გაუმჯობესებისათვის.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მისაღწევად და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად ყველა საწარმოებში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. რეგულარულად ტარდება „ხარისხის დღეები“, სათანადო ყურადღება ექცევა კოლექტივის ყოველი წევრის პასუხისმგებლობის გაძლიერებას მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში. აღსანიშნავია ქ. ქუთაისის № 2 სამკერვალო გაერთიანების მოწინავე გამოცდილება და მაღალი მაჩვენებლები ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების საქმეში.

ამასთან ერთად, კომისიის აღნიშნული დადგენილების შესრულების საქმეში არის გარკვეული ნაკლოვანებანიც.

თბილისის № 1 ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანში“ და სამოდელო ფეხსაცმელების ფაბრიკაში, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატში, თბილისის № 7, ფოთის № 2 სამკერვალო და თელავის წინდების საქსოვ ფაბრიკებში ადგილი აქვს დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების, შიგა საფაბრიკო წუნის, პროდუქციის დაბალ ხარისხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გადაყვანისა და სავაჭრო ორგანიზაციებიდან უკან დაბრუნების შემთხვევებს. ამ საწარმოების მიერ დამზადებული მასობრივი გამოშვების ბევრი ნაწარმი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საუკეთესო ნიმუშებს და ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

საწარმოებში ჯერ კიდევ დიდია მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მანქანა-დანადგარების რაოდენობა, ხოლო მათი შეცვლა თანამედროვე, მაღალი წარმადობის მქონე დაზგა-დანადგარებით ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

ნაკლოვანებებია საწარმოთა მანქანა-იარაღების სათადარიგო ნაწილებით მომარაგების საქმეში.

საწარმოები ხშირად მარაგდებიან არაკონდიცირებული ან უხარისხო ნედლეულით და მასალებით.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები ა. ვარდოშვილი, ო. რობაქიძე, ვ. გვოზდიკოვი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი მ. ჩხეიძე, თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი ა. ძულიაშვილი და სხვები.

კომისიამ განხილული საკითხის გამო მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 204 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქალაქ თბილისიდან	. . . . .	26
ამბროლაურის	რაიონიდან	7
ბოლნისის	„	21
ბორჯომის	„	7
ზესტაფონის	„	7
თეთრიწყაროს	„	16
თელავის	„	6
თიანეთის	„	6
ლაგოდეხის	„	6
ლანჩხუთის	„	3
მესტიის	„	9
მცხეთის	„	1
ონის	„	3
ორჯონიკიძის	„	4
სამტრედიის	„	4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგის	ᲠᲐᲝᲜᲘᲓᲐᲜ	5
ქარელის	„	21
წალკის	„	46
წულუკიძე.	„	3
ხობის	„	3